აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ოქმი #5

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1 08 ივნისი 2023 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.გია მიგინეიშვილი - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

2. ზეზვა მაკალათია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

3. იაგო თოდუა- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

4. დიმიტრი ვერულაშვილი-აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გია მიგინეიშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხი:

1,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მოისმინეს:

1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გია მიგინეიშვილი.

აზრი გამოთქვეს: დიმიტრი ვერულაშვილმა და იაგო თოდუამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე-4 წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,დ.გ'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,, განკარგულების პროექტი ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: /**გ.მიგინეიშვილი**/